



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლალონი

ლალონი (თურქ. ლალ - მუნჯი, ოინი - თამაში; უტყვი თამაში), ძველებური მესხურ-ჯავახური საწესო ცეკვა-თამაშობა. ლ-ის ეტიმოლოგია სავარაუდოდ, მოიაზრებს თამაშის წესს: ვაჟების ჯგუფს წკებლით ხელში სათავეში ედგა ლალია - წინამძღოლი. იგი უხმოდ ასრულებდა სხვადასხვა მოქმედებას, რ-იც სხვებსაც ასევე უხმოდ უნდა გაემეორებინათ. თუ რომელიმე ამას ვერ შეძლებდა ან ხმას ამოიღებდა, ლალია მას წკებლას უთავაზებდა. ბოლოს ლალია მაყურებლებიდან რომელიმე ბავშვს წამოიკიდებდა, ასევე იქცეოდნენ სხვა მოცეკვავეებიც. თამაშის დასასრულს ფერხულს უვლიდნენ. ლ. სრულდებოდა ყველიერის კვირას და ქორწილში. ცეკვამ შემოინახა ნაყოფიერებასთან, სიკვდილისა და აღდგომა-განახლების მითოლოგიურ ციკლთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი. მკვლევართა აზრით, ლ-ის ქართული სახელწოდება იყო „ძალღური“ ან „გულთამაშა“. მსგავსი ტიპის საწესიხვეულებო ცეკვები მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ლ-ის თეატრალიზებული ვარიანტი „იდუმალას“ სახელწოდებით აღადგინა ქორეოგრაფმა გ. სალუქვაძემ.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2001; ი ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში (XIX ს. II ნახ.-XX ს.), თბ., 1987; ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ჯ., ხალხური სიტყვიერების მასალები, ტ. 2, თბ., 1957.

გ. ჩინჩალაძე
